უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ ყოველთვის მინდოდა სხვა ქვეყანაში და სხვა უნივერსიტეტში გამომეცადა ჩემი თავი, გასულ ზაფხულს კი მომეცა ამის საშუალება, ართვინი-ჭოროხის უნივერსიტეტში (ARTVİN ÇORUH ÜNİVERSİTESİ), სადაც გავიარე ორ თვიანი სტაჟირება "ერასმუს +"-ის ოფისში, სადაც ჩართული ვიყავი სხვა და სხვა საერთაშორისო პროექტების საორგანიზაციო საკითხებში, რაც ბრწყინვალე გამოცდილება იყო ჩემი სამომავლო განვითარებისთვის. გავეცანი თურქი ხალხის კულტურას და ცხოვრების სტილს. უნივერსიტეტი არის მთებით გარშემოტყმულ პატარა ლამაზ ქალაქში, სადაც ყველაფერია, რაც შეიძლება სტუდენტს დასჭირდეს. ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო ბატონი ჰაკან გიულტეკინი(Hakan GÜLTEKİN) და ბატონი ჰაკან ტაშკაია (Hakan TAŞKAYA), ვინც გვიწევდა კურირებას მთელი პროექტის გამნმავლობაში, მათ ქონდათ მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს მიმართ და ზრუნავდნენ კომფორტულ გარემოში გვემუშავა. ქალბატონი მარიკა ზვიადაძე და ბატონი ალექსანდრე ლაბაძეც არ მინდა გამომრჩეს, რომელთა რჩევითა და დახმარებით გადავწყვიტე სააპლიკაციო ფორმის შევსება.

ბოლოს, მინდა ყველას გირჩიოთ მიიღთ მონაწილეობა "ერასმუს +"-ის პროგრამებში, ეს იქნება დაუვიწყარი გამოცდილება მთელი ცხოვრების განმავლობაში.